ვახტანგ გოილაძე

რას მოგვითხრობს
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
არიან-ქართლზე

ISBN 978-9941-16-517-7
9 789941 165177

ვახტანგ გოილაძე

რას მოგვითხრობს მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე არიან-ქართლზე

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

წიგნში ცნობილი მეცნიერის ვახტანგ გოილაძის მიერ გაანალიზებულია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომი ქართველთა უძველესი ქვეყნის „არიან-ქართლის“ შესახებ. ისტორიული „არიან-ქართლი“ ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული, მას ბიზანტიურ ეპოქაში „იბერიის თემი“ ეწოდებოდა და ის ძირითადად ქართველებით („ივერებით“) იყო დასახლებული. საქართველოსაგან პოლიტიკურად დაშორებული ეს მხარე მე-6, მე-7 საუკუნეებში სომხური ეკლესიის იურისდიქციის სფეროში აღმოჩნდა, მე-8 საუკუნის შემდეგ აქაურმა მრევლმა გადაიგდო სომხური ეკლესიის უღელი და დაუბრუნდა დედა-ქართული ეკლესიის წიაღს, შესაბამისად არაქსისპირეთის, ანისის, ყარსის, ბასიანის, ტაოსა და არზრუმის რეგიონების ივერებმა ეკლესია-მონასტრებში აღიდგინეს ქართულენოვანი წირვა-ლოცვა და შექმნეს სახელმწიფო სახელწოდებით „ქართველთა სამეფო“ (ტაოს სამეფო). ამ ვრცელ მხარეში მრავალი ქართული საეპისკოპოსო ამოქმედდა – ანისის, ყარსის, ვალაშკერტის, დადაშენისა, არზრუმისა და სხვა. მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი ანანია აღწერს ამ საეპისკოპოსოთა მრევლის ისტორიას, რომელსაც კარგ შეფასებას აძლევს ვახტანგ გოილაძე.

მარიამ თოგუზაშვილი

რედაქტორი მარიამ თოგუზაშვილი
დაკაბადონება ლია მოსეშვილი

© ვახტანგ გოილაძე, 2017

ISBN 978-9941-16-517-7

მეუფე ანანია ჯაფარიძის ბრწყინვალედ გამოცემული მონოგრაფია – „არიან-ქართლი. საეპისკოპოსოები ისტორიულ ივერიაში“ 566 გვერდია და 17 თავისაგან შედგება. მასზე დართული 23 რუკა და ფოტოები მკითხველისათვის კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის წიგნს, ხოლო პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი საშუალებას იძლევა ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ადვილად მივაკვლიოთ.

ქართველ მკითხველთაგან მრავალს, მართალია, **მეუფე ანანიას** მონოგრაფიის გამოქვეყნებამდეც კარგად ეცოდინებოდა არიან-ქართლი რატომაა ჩვენთვის საინტერესო, მაგრამ მე მაინც მინდა ის ცნობები წარმოვადგინო, რომლებიც არიან-ქართლის შესახებ ძველ ქართულ წყაროებშია, მკითხველს გავაცნო **მეუფე ანანიას** წიგნის გამოსვლამდე ვინ რა აზრისა იყო არიან-ქართლზე.

არიან-ქართლის შესახებ ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ 1888 წელს „შატბერდის კრებულის“ აღმოჩენისას შეიტყო, ხოლო მას შემდეგ რაც 1890 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა „შატბერდის კრებულში“ შესული „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტი გამოაქვეყნა, მასში მოხსენიებულმა არიან-ქართლმა ქართველ მკვლევართა დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს ინტერესი დღესაც არ შენელებულა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ორი ნაწილისაგან შედგება – პირველია „ქრონიკა“, ხოლო მეორე, წმინდა ნინოს „ცხოვრება“. არიან-ქართლის შესახებ ცნობა სწორედ „ქრონიკაში“ არის. მასში ნათქვამია: თითქოს, ალექსანდრე მაკედონელს, ქართლში ლაშქრობისას **„თანაჰყვანდა. . . აზოჲ, ძჱ არიან-ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი, და ეგრის წყალი, და სომხითი და მთაჲ ცროლისა[ჲ] და წარვიდა“.** ქართლში გამეფებული „აზოჲ წარვიდა არ[ი]ან-ქართლად, მამისა თჳსისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმრთად – გაცი და გა“. **„და ესე იყო პირველი მეფჱ მცხეთას შინა აზოჲ, ძჱ არიან-ქართველთა მეფისაჲ, და მოკუდა“. „შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ“**[1].

რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალ „მეფეთა ცხოვრებას“ (მის ავტორად XI ს-ში მცხოვრები ლეონტი მროველი ითვლება), მასში „აზოჲ“ აზონად იწოდება, აზოს სამშობლო არიან-ქართლი არ იხსენება, თვით აზონი (აზო) მაკედონელი იარედოსის ძედ და ქართლის დამპყრობად არის დასახელებული[2]. აზონმა თითქოს ქართლში მეფობისას „შექმნნა ორნი კერპნი ვეცხლისანი: გაცი და გაიმ“. აზონის (აზოს) მმართველობა დახასიათებულია როგორც „ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა“, თვით აზონი კი „მესისხლედ“ არის მიჩნეული[1].

„მეფეთა ცხოვრებაში“ არსებული მითითებით, აზონის ქართლში გაბატონებისას, ქართლის გამგებელი „მცხეთის მამასახლისი“ სამარი ყოფილა, მისი ძმისწული იყო ფარნავაზი, რომელმაც დავაჟკაცების შემდეგ ეგრისის ერისთავის ქუჯის, ანტიოქოსისა (იგულისხმება სელევკიდი მეფე ანტიოქე I სოტერი – ძვ. წ. 324-261) და სომეხთა დახმარებით ჯერ „ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი“ აზო და მისი დამხმარე ბერძნები დაამარცხა (აზო ბრძოლაში დაიღუპა), შემდეგ კი „წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიაძორა, და ეკლეციით შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი, და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა“[2].

აი ის მასალა, რაც ძველ ქათულ წყაროებში არიან-ქართლის შესახებ გვაქვს. ძირითადად ამ მასალის გაანალიზებასა და ისტორიული რეალიების დამტკიცებას ეხება მეუფე ანანიას ვრცელი მონოგრაფია. მონოგრაფიაში ასევე დიდი ადგილი ეთმობა ისტორიული საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული საეპისკოპოსოების შესწავლას.

1 მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 320.

2 ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 18.

1 იქვე, გვ. 20.

2 იქვე, გვ. 23.

მოქცევაჲ ქართლისაჲს „ქრონიკიდან“ და „მეფეთა ცხოვრებიდან“ ზემომოტანილი ტექსტების შინაარსს თუ ჩავუკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, „ქრონიკაში“ თხრობა ისეა წარმოდგენილი, თითქოს აზოს ქართლში გამეფება ალექსანდრე მაკედონელის თანადგომით მშვიდობიანად მოხდა. შემდეგ მამის სამფლობელოდან აზომ ქართლში ნათესავები – „რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი“ მოიყვანა. ასევე არიან-ქართლიდან შემოიტანა მან გაცისა და გას კერპები. ამ თხრობაში საინტერესოა ერთი დეტალი – „მეფეთა ცხოვრებაში“ აზონი (აზო), მართალია, „მესისხლედ“ და ქართლის დამპყრობლადაა გამოცხადებული, მაგრამ მის მიერ არიან-ქართლიდან შემოტანილი გაცისა და გას კერპები, ქართლში „შექმნილად“ არის გამოცხადებული და ეს კერპები არმაზთან და ზადენთან ერთად ქართველთა სათაყვანებელი ღმერთები გახდა. რაც იმას მოწმობს, აზოს სამშობლოში – არიან-ქართლშიც ქართველთა მონათესავე ხალხი ცხოვრობდა, მაგრამ სად მდებარეობდა ეს ქვეყანა?

მეუფე ანანიას მონოგრაფიიდან კარგად ჩანს, არიან-ქართლის ქვეყანა იგივე ქართველთა საცხოვრისი რომ იყო და უძველესი დროიდან მასთან ბევრი რამ გვაკავშირებდა. ჩვენი მკვლევრები სანამ ასეთ დასკვნამდე მივიდოდნენ, არიან-ქართლის ლოკალიზაციის საკითხი დიდი მსჯელობის საგანი იყო. ამიტომ მინდა ამ საკითხზეც მოკლედ მოგითხროთ.

არიან-ქართლის ლოკალიზაციის საკითხს გარდა იმისა, რომ „ქრონიკის“ ტექსტში „არიანთან“ ერთად „არან“-ის საკუთარ სახელად დასახელება ართულებდა, იმთავითვე საკამათო გახდა არიან-ქართლი ისტორიული საქართველოს საზღვრებს შიგნით უნდა გვეძია თუ მისგან მოშორებით. „მეფეთა ცხოვრების“ ცნობა იმის შესახებ შიდა ქართლიდან გაქცეული აზონი (აზო) კლარჯეთში რომ გამაგრდა და იქ შეებრძოლა მას ფარნავაზი „ნაქალაქევსა თანა არტანისასა“, შემდეგ ფარნავაზმა როცა „მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიაძორა და ეკლეცით შემოიქცა“, „კლარჯეთი დაიპყრო“, მკვლევრებს იმის საბაბს აძლევდა არიან-ქართლად კლარჯეთი მიეჩნიათ. მაგრამ, არიან-ქართლად თუ კლარჯეთს ჩავთვლით, იქ აზონის დაღუპვის შემდეგ ფარნავაზს ანძიაძორში აღარ უნდა ელაშქრა. ანძიაძორადან კლარჯეთში რადგან ეკლეცის (ესაა ბიზანტიკური ხანის აკილისენეს ტერიტორია[1]) გამოვლით დაბრუნდა, ცხადია, ანძიაძორაში ეკლეცის დასავლეთით არსებული მიწები იგულისხმებოდა. ე. ი. დასადგენი იყო ანძიაძორას მდებარეობა – აზოს მამის სამფლობელო ქვეყანა.

1895 წელს გამოცემულ მარი ბროსეს „საქართველოს ისტორიაში“ ფარნავაზის მიერ მოოხრებულ ქვეყანად – აზოს სამშობლოდ მდ. ევფრატისა და მდ. ლიკის სათავეები არის დასახელებული[2].

1 Меликишвили Г. А., К историй древней Грузии. Тб., 1959, გვ. 47, 282, 291.

2 ბროსე მ., საქართველოს ისტორია. ტფ., 1895, გვ. 23-24.

1906 წელს მოსე ჯანაშვილმა არიან-ქართლად შუა აზიის პროვინცია არიანა მიიჩნია[1]. აკად. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, „ქრონიკის“ „არან“ აზოს მამის სახელი უნდა ყოფილიყო, თუმცა ტექსტში შეიძლება ქვეყანაც გვეგულისხმა. მისი სიტყვით, ხელნაწერში შეცდომით წერია „არან“. „მემატიანეს სიტყვები ოდნავ ბუნდოვანია და მკაფიოდ არა ჩანს, „არან“ მეფისა, თუ ქვეყნის სახელი იყო და აზოჲ არან - ქართლისა . . . თუ ქართლის მეფის არანის შვილი იყო[2]. 1940 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აკად. ს. ჯანაშია წერდა: „როგორც არ უნდა გადაწყდეს „არიანა“-ს საკითხი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ . . . არიან-ქართლი წარმოადგენს მოგონებას ჰარი-ქვეყნის, როგორც ქართველთა უძველესი საცხოვრისის შესახებ. რეალურად აქ შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც მიტანი, ისე ურარტუც, ვანის ტბის მიდამოები. . . ჰარი-ქვეყანა შეიცავდა ერთსაც და მეორესაც“[3]. 1948 წელს ე. თაყაიშვილმა სახელი „არიან-ქართლი“ ქართულ ძეგლში „ქვაბი საგანძურიდან“ შეტანილ ცნობად მიიჩნია[4].

1 ჯანაშვილი მ., საქართველოს ისტორია. ტ. I, ტფ., 1906, გვ. 52-53, 57-62.

2 ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, ტფილისი, 1928, გვ. 92.

3 ჯანაშია ს., უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ. . ., ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. V-VI, 1940, გვ. 671.

4 თაყაიშვილი ე., საიდან და როგორ გაჩნდა „ქართლის მოქცევის“ ქრონიკებში სახელწოდება „არიან-ქართლი“? საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. IX, №9-10, 1948, გვ. 624.

არიან-ქართლის ლოკალიზაციისა და შინაარსის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ისეთი მკვლევრის აზრს, როგორც აკად. გ. მელიქიშვილი იყო. 1959 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში სახელი „არიანი“ მან სპარსულ სიტყვას „არიულს“ დაუკავშირა და არიან-ქართლში სამხრეთ-ქართული („სპარსულ-ქართული“) რაიონები – ისტორიული სპერის ოლქისა და მდ. ჭოროხის ზემო წელის ის მოსახლეობა დაინახა, რომელნიც აქემენიანთა სპარსეთის მფლობელობაში იყვნენ მოქცეულნი[1].

1968 წელს გ. მამულიამ არიან-ქართლის შესახებ ახალი თვალსაზრისი წამოაყენა. მისი მტკიცებით, ძვ. წ. IV ს-ში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ორი სახელმწიფოებრივი ერთეული არსებობდა. ერთი იყო „ჩრდილო ქართლი“ ცენტრით უფლისციხესა და ძველ მცხეთაში, მეორე „სამხრეთ ქართლი“ ცენტრით წუნდასა და ოძრხეში. მისი მტკიცებით, სწორედ სამხრეთ ქართლის სახელმწიფოებრივი ერთეულის სახელი იყო არიან-ქართლი[2]. 1970 წელს გამოქვეყნებულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომში აკად. გ. მელიქიშვილმა არიან-ქართლის შესახებ კვლავ ძველი მოსაზრება გაიმეორა[3]. 1975 წელს

1 Меликишвили Г. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 118, 278-279.

2 მამულია გ., „არიან-ქართლის“ საკითხისათვის საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1968, გვ. 222-223.

3 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 440.

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ პირველ ტომში მოთავსებულ წერილში – „არიან-ქართლი“ პროფ. კ. გრიგოლიამ იმ დროისათვის ქართულ მეცნიერებაში არიან-ქართლის ლოკალიზაციის შესახებ ყველაზე მისაღები – ს. ჯანაშიას და გ. მელიქიშვილის მოსაზრებები წარმოადგინა[1], ე. ი. ამ ოფიციალური გამოცემის შემდეგაც გაურკვეველი დარჩა – არიან-ქართლში ჭოროხისა და სპერის ოლქების ქართული მოსახლეობა უნდა გვეგულისხმა თუ მითანისა და ურარტუს მხარისა (ვანის ტბის მიმდებარე ტერიტორიები), როგორც ამას აკად. ს. ჯანაშია ფიქრობდა. 1984 წელს გამოქვეყნებულ წერილში მე არიან-ქართლად კაპადოკია ჩავთვალე[2], იგივე თვალსაზრისი გავიმეორე 1991 წელს გამოცემულ მონოგრაფიებში[3]; 2002 წელს კი არიან-ქართლად მდ. არცანია-მურად-სუს სამხრეთით მდებარე ტერიტორიებიც მივიჩნიე[4].

1 გრიგოლია კ. არიან-ქართლი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1975, გვ. 565. 2011 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ფარნავაზი და არიან-ქართლის ლოკალიზაცია“ ძველაღმოსავლური და ქართული მასალის გაანალიზების საფუძველზე ს. გოგიტიძემ დაასაკვნა: „არიან-ქართლისა და მასთან დაკავშირებული სახელწოდებები მეფეთა, ღვთაებათა და ტოპომიმებისა, თავიანთი წარმომავლობით არის ხათურ-ხეთური (მცირეაზიური) ქართველური(ლაზურ-მეგრული) სამყაროდან“. იხ. გვ.135

2 გოილაძე ვ., ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან. „მნათობი“, 1984, №11, გვ. 156, 161.

3 გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991, გვ. 127-133; ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991, გვ. 23 და შემდეგი.

4 გოილაძე ვ., ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 2002, გვ. 26-32.

არიან-ქართლის ლოკალიზაციის შესახებ მიღებული შედეგები მკვლევართა ნაწილს არ აკმაყოფილებდა. ამიტომ კვლევა ისევ გრძელდებოდა. არიან-ქართლის ლოკალიზაციის საკითხს რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა აკად. ნ. ხაზარაძემ[1]. ამ ბოლო ხანს არიან-ქართლის საკითხთან დაკავშირებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა დეტალურად გააანალიზა პროფ. გ. ქავთარაძემ და დაასკვნა: „ცნება „არიან-ქართლი წმინდა მწიგნობრული გზით შექმნილი ფიქციაა, რომელსაც საფუძვლად უდევს მხოლოდ და მხოლოდ ორი (დასავლეთისა და აღმოსავლეთის) იბერიის სახელწოდებათა იდენტურობა“. გ. ქავთარაძის სიტყვით, „მით უფრო უცნაურია ის გარემოება, რომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ არის გავრცელებული და საკმაოდ მყარად ფესვგადგმული გ. მელიქიშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომლის თანახმად, სახელწოდება „არიან-ქართლი“ არიელთა ანუ სპარსელთა ქართლს უნდა აღნიშნავდეს“[2].

1 ხაზარაძე ნ., საქართველოს ძველი ისტორიის ერთი ასპექტისათვის (არიან-ქართლი), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. №3(414), თბ., 1997; მისივე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. თსუ ახალციხის ფილიალის „შრომების კრებული“, II, 2000; მისივე, ლეონტი მროველი და არიან-ქართლის ლოკალიზაციის საკითხი. Dedicatio. კრებული მიძღვნილი აკად. მ. ლორთქიფანიძის 75 წლისთავისადმი, თბ., 2001, გვ. 36, 48.

2 ქავთარაძე გ., „არიან-ქართლის“ საკითხისათვის. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის შრომები, IX, თბ., 2009, გვ. 36, 48. ამ მხრივ არანაკლებ ორიგინალურია მ. ჩხარ-

დასახელებულ მკვლევართა შეხედულებები არიან-ქართლის შესახებ სპეციალურად აქვს გაანალიზებული **მეუფე ანანია**ს, ამიტომ მათზე აქ საუბარს აღარ გავაგრძელებ. იმას კი აღვნიშნავ; მიუხედავად იმისა, რომ არიან-ქართლის ლოკალიზაციის საკითხის შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა, მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება: არიან-ქართლი ისტორიული საქართველოს საზღვრებს მიღმა – ჩრდილო მესოპოტამიასა და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში (დიდი კაპადოკია) არის საძიებელი (ნ. ხაზარაძე).

სწორედ ამ კუთხით იკვლევს **მეუფე ანანია** ახლადგამოცემულ მონოგრაფიაში არიან-ქართლისა და ამ ქვეყნის ქართველურ მოსახლეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა, მათ შორის, საეპისკოპოსოების საკითხებს. ასეთებია: არიან-ქართლად მიჩნეულ მხარეებში ქართული ენის საკითხი, მოსახლეობის მრწამსი, ეთნიკური ისტორია, საეპისკოპოსოების მდგომარეობა ისტორიული საქართველოს საზღვრებს გარეთ, ქართული თვითშემეცნება სომხეთის მფლობელობაში მოქცეულ ქართულ ტერიტორიაზე, სომეხ-ქალკედონიტთა ვინაობა, იბერიის თემის მოსახლეობის საკითხი და სხვა მრავალი. ერთი სიტყვით, ჩვენს ხელთაა **მეუფე ანანიას** მრავალწლიანი შრომის შედეგად შექმნილი მეტად საინტერესო მონოგრაფია.

ტიშვილის თვალსაზრისი. მისი მტკიცებით, აზო/აზონი და იაზონი ერთი და იგივე სახელებია, უფრო ზუსტად ერთი სახელის ვარიაციებია. კომპოზიტ „არიან-ქართლში“ „არიან“ „ქართლის“ მსაზღვრელი კი არ უნდა იყოს, როგორც აქამდე თვლიდნენ, არამედ მისი სინონიმია, - „ქართლი“ და „კოლხისი“ ერთი და იგივეა. ე. ი. „არიან-ქართლი“ ეს იგივე „არიან-კოლხისია“. იხ. მისი ქართული ისტორიული აზრის განვითარება შუასაუკუნეებში: ქართლის სამეფოს დაარსების შესახებ ცნობების შედარებითი ანალიზი. ქართული წყაროთმცოდნეობა XVII-XVIII, თბ; 2015-2016, გვ. 264-266.

წიგნის საკმაოდ ვრცელ „შესავალში“ მკითხველი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვებასთან დაკავშირებულ თხრობას ეცნობა. მონოგრაფიის პირველ თავში – „არიან ქართლის ხალხი და მიწა-წყალი“ ძველ ქართულ წყაროებში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „მეფეთა ცხოვრება“) არიან-ქართლის შესახებ არსებული ცნობებია გაანალიზებული. ასეთი კვლევისას, ერთი შეხედვით **მეუფე ანანია** აზოს მამის სამფლობელოს ლოკალიზაციით უნდა დაინტერესებულიყო, მისი ადგილმდებარეობა დაეზუსტებინა, მაგრამ მონოგრაფიის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ შემთხვევაში, **მეუფე** ყველა იმ რეგიონზე რომ საუბრობს, სადაც ძველ წყაროთა მითითებებით უძველესი დროიდანვე ქართული ან ქართველური მოდგმის მოსახლეობა ცხოვრობდა. ალბათ მკითხველიც დამეთანხმება, ისტორიული საქართველოს ფარგლებს გარეთ უძველესი დროიდანვე მოსახლე ქართული თუ ქართველური წარმომავლობის მოსახლეობის ეთნოგენეზის საკითხი, მართლაც, მოითხოვს ყოველმხრივ ანალიზს და ასეთ კვლევას **მეუფე ანანია** ძველი ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის (გარდ. ახ. წ. 24 წ.)

ცნობების გაანალიზებით იწყებს. მისი კვლევის საგანი, უპირველეს ყოვლისა, იმ ტერიტორიების მოსახლეობაა, რომლებიც სტრაბონის თანახმად, სელევკიდთა მეფის – ანტიოქოს დიდის (ძვ. წ. 242-187) მხედართმთავრებმა არტაქსიამ და ზარიადრმა (როცა ისინის არმენიის მეფეები გახდნენ) ძვ. წ. II ს-ში ქართველებს წაართვეს. **იბერიელებისგან მიიტაცეს „პარიადრის მთისწინეთი, ხორძენე და გორგარანე, . . . ხალიბებსა და მოსინიკებს ჩამოაჭრეს კარენიტიდა და ქსერქსენე, მცირე არმენიის მოსაზღვრე ნაწილები“ (XI, 14, 5)[1].**

ეს მიწები **მეუფემ**, ვფიქრობ, სამართლიანად მიიჩნია არიან-ქართლის ნაწილებად. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული და **მეუფეც** წერს, დასახელებულ ტერიტორიებიდან ერთი ნაწილი (მაგ. გოგარენე), მართალია, ქართლის სამეფომ ახ. წ. I-II საუკუნეებში დაიბრუნა (გვ. 23), მაგრამ მანამდეც და მის შემდეგაც სომხური სახელმწიფო ცდილობდა ეს ტერიტორია სომეხთა საკუთრებად გამოეცხადებინა, იქ სომხური ენა დაენერგა. მიუხედავად ასეთი ღონისძიებებისა „აღნიშნული მხარეების მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს ქართველად აცხადებდა“ (გვ. 23). მეუფეს სიტყვით, უფრო გვიან ამ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა ეროვნული სახელმწიფო „ქართველთა სამეფოს“ სახელწოდებით და მან გაფართოება დაიწყო ვანის ტბის მიმართულებით. თუ არა ბასილ კეისრის შემოჭრა – დასძენს მეუფე, – და ტაოს ქართველთა სამეფოს დამარცხება, ალბათ ძველი „არიან-ქართლი“ აღიდგენდა თავის თავს. ანუ ქალდეიდან ვანის ტბამდე აღორძინდებოდა ქართველთა ამ რეგიონის მკვიდრი მოსახლეობის სახელმწიფო, ქართული ენითა და ეკლესიისთ (გვ. 24).

1 Страбон. География. Перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского, М., 1964, გვ. 498.

როცა ამ სტრიქონებს წერდა, **მეუფე ანანია,** რა თქმა უნდა, არიან-ქართლის ლოკალიზაციის შესახებ აკად. ს. ჯანაშიას თვალსაზრისს იზიარებდა. ბატონ სიმონს არიან-ქართლად ხომ ჰარის ქვეყანა, მითანისა და ურარტუს ტერიტორიების ნაწილი მიაჩნდა.

საქართველოს ძველ ისტორიაში ნაკლებად გაცნობიერებულ მკითხველს შეიძლება კითხვა გაუჩნდეს, „ქართველთა სამეფოს“ მეფეს – დავით III კურაპალატს (გარდ. 1001 წ.) რატომ უნდა გაეგრძელებინა თავისი სამეფოს საზღვრების გაფართოება სამხრეთ-აღმოსავლეთით ვანის ტბის მიმდებარე ტერიტორიებისაკენო?

თავისი დებულების დასადასტურებლად, როგორც მოსალოდნელი იყო, **მეუფე ანანია** კარდუხთა ქვეყნის შესახებ ძველი ბერძენი ავტორის ქსენოფონტეს (გარდ. ძვ. წ. 355 წ.) ცნობებს იმოწმებს. როგორც ცნობილია, ძვ. წ. 401 წელს კუნაქსთან (ქ. ბაბილონის ჩრდილო-დასავლეთით) გამართულ ბრძოლაში მარცხის შემდეგ სპარსი უფლისწულის – კიროსის მიერ დაქირავებულმა 10000-იანმა ბერძენ მოქირავნეთა ლაშქარმა შავი

ზღვის სანაპიროსთან მისასვლელად კარდუხთა ქვეყანაზე გაიარა. მონოგრაფიაში ვრცლადაა გაანალიზებული ბერძენთა მიერ გავლილი გზის მარშრუტი, მაგრამ ამასთან ერთად მთავარი ისაა, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია რაც კარდუხები ქართული წარმომავლობის ხალხად, ხოლო მათი სამშობლო – სამხრეთ იბერიად არის მიჩნეული. ამიტომ მეუფე ანანია სამართლიანად მსჯელობს „ორი ივერიის“ შესახებ. ისტორიული საქართველოს სამხრეთით უძველეს დროში „ივერიის“ არსებობის შესახებ, სხვა მასალებთან ერთად, საინტერესოა სტრაბონის მითითება სომხეთის მეფემ ტიგრან II-მ თავის სახელზე ქალაქი „იბერიის მახლობლად“ რომ დაარსა[1] (ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ამ ქალაქის – ტიგრანაკერტის ადგილას ახლა სოფ. ფარკინია).

ქართველთა ეთნოგენეზთან დაკავშირებულ ამ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს ჩვენს მეცნიერებაში მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ეთმობა, მაგრამ მისი იგნორირება არ შეიძლება. კარდუხთა ქვეყანა ჩრდილო შუამდინარეთში მდებარეობდა. ჩრდილოეთით სომხეთისგან მას მდ. კენტრიტი (ახლანდ. ბოხტან-სუ. აკად. ივ. ჯავახიშვილი ჰიდრონიმ კენტრიტის სახელს მდ. კინტრიშთან აიგივებდა[2]) ყოფდა. როგორც ქსენოფონტე წერს,

1 იქვე, გვ. 501 (XI, XIV, 15). ტექსტის მთარგმნელმა გ. სტრატანოვსკიმ ასეთი მითითება შეცდომად მიიჩნია და შენიშვნაში მიუთითა: „ამ ადგილებში იბერიის ქალაქები არ იყოო“ (გვ. 824).

2 ჯავახიშვილი ივ., ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და უძველესი ბინადრობა. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1960, გვ. 414.

ბერძნებმა კარდუხთა ქვეყნის გავლას შვიდი დღე მოანდომეს და ამ დროის განმავლობაში მათ განუწყვეტელი ომი ჰქონდათ კარდუხებთან. კარდუხები კარგად იყვნენ დაუფლებულნი თავდასხმისა და უკანდახევის ტაქტიკას. ბრძოლისას მღეროდნენ. კარდუხთა მდიდარი სოფლები მთებზე იყვნენ შეფენილნი. კარდუხები მისდევდნენ მესაქონლეობას, მევენახეობას და, როგორც მეუფეც უთითებს, ღვინო მიწაში ჩასმულ შემოგლესილ ქვევრებში ჰქონდათ დაყენებული (გვ. 49). კარდუხთა ქვეყნიდან ბერძნები არმენიელთა ქვეყანაში შევიდნენ, შემდეგ ხალიბების, ტაოხებისა და ფასიანების ტერიტორიაზე (გვ. 50)[1].

ქსენოფონტეს თანადროული კარადუხთა ქვეყანა აქემენიდური სპარსეთის მფლობელობაში იყო და როგორც ითქვა, ის ისტორიული საქართველოს სამხრეთით – ვანის ტბის სამხრეთით მდებარეობდა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იმაში რომ დავრწმუნდეთ, კარდუხთა ქვეყანა ძველად რომ ქართველთა მონათესავე ხალხის საცხოვრისი იყო, მეტი მასალაა საჭირო. ქვემოთ შევეცდები კარდუხთა ქვეყნისა და ვანის ტბის მიდამოებში – ისტორიულ არიან-ქართლში, ქართველთა ცხოვრების შესახებ **მეუფე ანანიას** მონოგრაფიიდან სხვა მასალაც მოვიტანო, შემდეგ კი მისი თვალსაზრისი კიდევ უფრო გავამყარო.

1 ამ საკითხზე ვრცლად იხ. გოილაძე ვ., ასურელ მამათა სამშობლო, გვ. 44-48.

ის ადგილები, სადაც ძვ. წ. V ს-ის დამლევს ქსენოფონტეს ლაშქარმა გაიარა და კარდუხთა განსახლების არეალი იყო, ახლა ქურთების საცხოვრისია. ამიტომ მეტად საინტერესოა კარდუხთა შთამომავლების შემდგომი ბედი?

მკვლევრები უთითებენ კარდუხთა ნაწილის ჩრდილოეთით – საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლების შესახებ (კ. ლემან-ჰაუპტი, ივ. ჯავახიშვილი), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ამ გადმოსახლების შემდეგ კარდუხთა ძველ მიწაწყალზე ქართველური მოდგმის ეთნოსს არსებობა შეეწყვიტა. ადრექრისტიანულ ხანაში კარდუხთა ქვეყნის მთავარი ქალაქი ნისიბისი განთქმული იყო თავისი სკოლა-აკადემიით. აკად. კ. კეკელიძის თქმით, ძველ საქართველოში განათლებისა და სწავლა-აღზრდის საქმე სწორედ ნისიბისის სკოლის ყაიდაზე იყო აგებული[1]. მართალია, ბ. კორნელი არ წერს ძველ საქართველოში რა გზით დაინერგა აღზრდისა და განათლების ნისიბსისეული სისტემა, მაგრამ ფაქტი ერთია – კარდუხთა ქვეყანა ედესის ოლქთან ერთად ძველი შუამდინარეთის ერთ-ერთი კულტურულად დაწინაურებული მხარე იყო. ასე რომ, **მეუფე ანანიას** მონოგრაფიაში ვრცლად რომაა წარმოდგენილი კარდუხთა ქვეყნის და ხალხის ისტორია სრულიად გამართლებულია.

ახ. წ. 363 წელს რომსა და ირანს შორის დადებული ზავით კარდუხთა ქვეყანა ირანის მფლობელობაში მოექცა. ქ. ნისიბისის სკოლა-აკადემიამ ქ. ედესაში გადმოინაცვლა. ქვეყანა დატოვა ქრისტიანული მოსახლეობის ნაწილმა და ედესაში გადასახლდა (ნისიბისიდან გადასახლებულთა შორის იყო ადრექრისტიანული ხანის ცნობილი მოღვაწე ეფრემ ასური). კარდუხთა ქვეყნიდან ქ. ედესაში გადასულმა ქრისტიანებმა, ასევე კაპადოკიიდან და ისტორიული საქართველოდან ქ. ედესაში სასწავლებლად თუ საცხოვრებლად ჩასულმა ქართველებმა შექმნეს ის კოლონია, რომელიც V-VI საუკუნეების ქ. ედესაში არსებობდა[1]. აღნიშნულით უნდა აიხსნას, ვახტანგ გორგასლის დედამ – დედოფალმა საგდუხტმა და დამ – ხვარანძემ 8 წელი ქ. ედესაში რომ გაატარეს[2]. ჩემი მხრივ უნდა აღვნიშნო: მისასალმებელია ის, რომ ქ. ედესაში ქართული კოლონიის არსებობის შესახებ ჩემი მიკვლევა **მეუფე ანანიას** მონოგრაფიაშიც რომაა ასახული (გვ. 45).

ვანის ტბის მახლობლად მცხოვრები ქართველური მოდგმის ტომებზე საუბრისას **მეუფე** არაერთხელ ახსენებს ლუვიას. ძვ. წ. IV ს-ში მცხოვრები ბერძენი ავტორის მეგასთენეს ცნობაზე დაყრდნობით **მეუფე** წერს: მეგასთენეს ცნობით, „ლიბიის“, იგივე ლუვიის მეზობელი იბერიის ერთი ნაწილი ნაბუქოდონოსორმა აყარა და დაასახლა პონტოს-პირეთში. ამის შემდეგ **მეუფე** დასძენს: „ლიბიის“

1 კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბ., 1960, გვ. 80.

1 გოილაძე ვ., ასურელ მამათა სამშობლო, თავი VIII.

2 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 196.

ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს არა აფრიკის ლიბია, არამედ მცირე აზიაში მდებარე ქვეყანა ლუვია (გვ. 9). „ლურსმულ ეპოქაში, – განაგრძობს **მეუფე,** – მცირე აზიის ლუვია ცნობილი სახელმწიფო იყო, რომელიც მდებარეობდა ახლოს იმ არეებთან, სადაც შემდგომი ავტორები კარდუხების საცხოვრისს მიუთითებენ“ (გვ. 10). „თუ მეგასთენეს წყაროს „ლიბია“ იგივე ქვეყანა „ლუვიაა“, მაშინ ძველი ავტორები“, როგორც ჩანს, მიუთითებენ ნაბუქოდანოსარის მიერ იბერების პონტოსპირეთში ჩასახლების შესახებ. „ლუვია-ლუბარის“ ქართველებთან კავშირის შესახრბ, – დასძენს **მეუფე**, – წერენ ეპიფანე და არქანჯელო ლამბერტი. არქანჯელოს, – განაგრძობს **მეუფე ანანია,** – მოჰყავს ძველი ცნობა, რომ ლუბია ერქვა ქვეყანასა და მთას არარატის რეგიონში, ანუ ძველ ურარტუში. ასევე შესანიშნავია ეპიფანეს სიტყვები, იმის შესახებ ლუბარის მთიანეთი „სომეხთა და ქართველთა ქვეყნების შუა რომ მდებარეობდა (გვ. 10). **მეუფე ანანია** ამ მასალის მოტანის შემდეგაც არაერთხელ ეხება „ლუვიის“ მოსახლეობის საკითხს, მაგრამ მასზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ და მინდა მოკლედ უტიების შესახებ მოგითხროთ.

მეუფე ანანიას თანახმად, უტიებიც კარდუხთა გვერდით ცხოვრობდნენ (გვ. 131). ეს ხალხი, როგორც ჩანს, იმ ძველი მაშუქების შთამომავლები იყვნენ, რომლებიც ძვ. წ. XII ს-ში კაპადოკიიდან (მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილიდან) ევფრატის ზემო დინების აღმოსავლეთით (თანამედროვე მდ. მურად-სუს სამხრეთით) გადასახლდა. 50 წლით ადრე მათ ხელთ იგდეს ალზისა და ფურულუმზის ქვეყნები, ხოლო ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის მეფობის დასაწყისში (ძვ. წ. 1115 წ.) 20 ათასმა მაშუქმა მეომარმა და მათმა 5-მა მეფემ ქვეყენა ქათმუხიც დაიპყრო[1]. მაშუქთა განსახლების ამ მიდამოებში **მეუფე ანანიამ** ძველ წყაროებში დამოწმებული უტიებიც დაინახა და ისინი არიან-ქართლის მოსახლეობას დაუკავშირა (გვ. 131).

ჩრდილო შუამდინარელი უტიების (იგივე „ორტას ოლქის“ მცხოვრებთა) შესახებ ჩემი მხრივ უნდა დავსძინო: VI ს-ის სირიელი ავტორი იეშუ სტილიტი „ორტაიების“ საცხოვრისად ანძიტენეს ოლქს – ოსროენის (ამ მხარის ცენტრი იყო ქ. ედესა) ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას ასახელებს[2]. ოსროენის ჩრდილოეთით მდებარე ანძიტენე (ალზი) კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, აღმოსავლეთ მაშუქთა განსახლების არეალი იყო. ამ

1 გიორგაძე გრ., „მუშქაია“, „მუშქი“ და „დაიაენი“ „დაიანი“ ასურულ ლურსმულ ტექსტებში. კრებული – მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა. ახალციხე, 2000, გვ. 5-6; ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნის ი. დიაკონოვის თანახმად, „აღმოსავლეთის მუშქების“ განსახლების ძირითადი ცენტრი იყო ზემო ევფრატთან მდ. არცანიის (მურად-სუ) შესართავთან მდებარე ალზის სამეფო. ასურული წყაროები, – დასძენს ი. დიაკონოვი, – ალზის აგრეთვე მუშქთა ქვეყანას უწოდებენ. აღმოსავლეთის მუშქები მდ. ტიგროსის ჩრდილო შენაკადების სათავეში მდებარე მთებიდან ზემო ევფრატის დასავლეთით მდებარე ტავრის მთებამდე უნდა ყოფილიყვნენ განსახლებულნი. იხ. История древнего мира, т. II, М., 1982, გვ.47.

2 Хроника Иешу Стилита. Н. В. Пигулевская, Месопотамия на рубеже V-VI вв. н. э., М.-Л., 1940, გვ. 143.

მხარის მოსახლეობას სომხებისა და სირიელებისაგან განსხვავებული ენა ჰქონდა. ცნობილი სომეხი ისტორიკოსის ნ. ადონცის თქმით, ეს ხალხი იოანე ეფესელთან (VI ს.) „ურტაერებად“ (ე. ი. „ურარტებად“ ვ. გ.) იხსენიებიან და ვინმე იოანე წარმოშობით სირიელი, მის თანამედროვეთა თქმით, თურმე ისე კარგად ფლობდა ურტაერების ენას, რომ ძნელი იყო მისი სირიელად მიჩნევაო[1].

საეჭვო არაა, **მეუფე ანანიას** მიერ კარდუხთა მეზობლად დასახელებული „უტიები“ (იგივე ურარტელები) და სირიელი ქრონისტის იეშუ სტილიტის მიერ მოხსენიებული „ორტას მცხოვრებნი“, ერთი და იგივე ეთნიკური კუთვნილებისანი რომ უნდა ყოფილიყვნენ. ისინი როგორც ჩანს, ძვ. წ. XII ს-ში მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილიდან მდ. ევფრატის გადაღმა გადასული და ურარტელთა ქვეშევრდომობაში მოხვედრილი ძველ მუშქთა შთამომავლები იყვნენ. XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის თომა არწრუნის ცნობით, მის თანადროულად სასუნის მთებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ხალხი სომხებისაგან განსხვავებული ენით (როგორც ცნობილია, ურარტუს სახელმწიფოს დანგრევის შემდეგ, მის ტერიტორიაზე სომხები დასახლდნენ), რომელნიც გაფანტულნი ცალკე ოჯახებად ცხოვნობდნენ. მათი ასიმილაციის შედეგად არაერთი ქართული სიტყვა შევიდა სომხურ ლექსიკაში (შეადარ., მეუფე ანანიას ნაშრომში, გვ. 384).

როგორც ცნობილი ჩეხი მეცნიერი ბედრჟიხ ჰროზნი წერს, კარდუხთა ქვეყანა თუ ძველი მი-

1 Адонц Н., Армения в епоху Юстиниана, СПб, 1908, გვ.31, შენ 3.

თანის სახელმწიფოს ცენტრს წარმოადგენდა და კარდუხების განსახლების არეალი ადრეულ ხანაში ქ. ურფა-ედესის რაიონსაც (ოსროენის პროვინცია) მოიცავდა, მაშინ აღარ უნდა გაგვიკვირდეს ნმინდა მართას და მისი ძის – სვიმიონ უმცროსის ცხოვრებაში რატომაა მრავლად ცნობები შუამდინარელი ქართველების შესახებ[1]. მათგან მხოლოდ ერთს წარმოვადგენ. წმინდა სვიმიონს ხილვა ჰქონდა, რომ მასთან – საკვირველ მთაზე აღმოსავლეთიდან მივიდა „ერი დიდძალი ფ-დ მამათა და დედათაჲ და ყრმათაჲ. და აქუნდა ‍ველთა მათთა ჯვრები და მოვიდოდეს იგინი. . . ლიტანიითა და ლოცვითა“. „სულმან წ-მან“ სვიმიონს ჰკითხა – „ვინ იყვნენ მოსულები“? სვიმიონმა უპასუხა: „ესე არს ნათესავი ქართველთაჲ“. რომელნი. . . „კ-დ დაემკჳდრნენ მათგანნი მონასტერსაცა შენსა“-ო. ამ ხილვიდან მცირე ხნის შემდეგ აღმოსავლეთიდან მართლაც „მოვიდა ერი მრავალი ქართველთაჲ ლიტანიითა და აქუნდა ‍ველთა მათთა ჯ-რები“[2].

ქ. ანტიოქიის (მდ. ორონტზე ზღვისპირა სირიაში) მახლობლად საკვირველ მთაზე მყოფ სვიმიონთან აღმოსავლეთიდან მისული „ნათესავით ქართველები“, რა თქმა უნდა, ედესა-ურტას რაიონებიდან უნდა ყოფილიყვნენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ვახტანგ გორგასლის

1 გოილაძე ვ., ასურელ მამათა სამშობლო. . . , გვ. 134-135. მისივე, ანტონ ქართველი და სვიმეონ მესვეტე. ჟურნალი „ქართველოლოგია“, 2013, №2.

2 ცხოვრებაჲ სვიმიონ მესვეტისაჲ. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კ. კეკელიძის რედაქციით კიმენი I, ტფ., 1918, გვ. 260-261.

„ცხოვრებაში“ არსებული ცნობა – ჯაზირეთის (ჩრდილო შუამდინარეთი) ნახევარი რომ ქართველთა საკუთრება იყო, და ვახტანგ მეფის დედამ და დამ 8 წელი რომ გაატარეს ქ. ედესაში[1], **მეუფე ანანიას** სრულ საფუძველს აძლევდა არიან-ქართლის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას კარდუხებისა და ურტას ქვეყნებზეც ესაუბრა. მკითხველისათვის გაეცნო ისტორიული საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრები ქართველური მოდგმის ხალხების რელიგია და კულტურა. ყოველივე ეს, ჩემი აზრით, მონოგრაფიის ავტორის მრავალმხრივი მეცნიერული ინტერესების გარდა, მის დიდ პატრიოტულ სულისკვეთებაზე მიუთითებს. პატრიოტიზმის გარეშე ძნელი იქნებოდა ამ სქელტანიანი მონოგრაფიის შექმნა.

ჩრდილო შუამდინარელ ქართველებზე თხრობა მინდა ერთი ცნობით, რომელსაც ცოტა ხნის წინ გავეცანი, დავასრულო. 1917 წელს გაზეთ „სამშობლოს“ (№537. 27. I) და „ცნობის ფურცელში“ (№184. 31. I) გამოქვეყნდა ერთი და იგივე წერილი, რომელშიც პირველი მსოფლიო ომოს დროს აღმოსავლეთ თურქეთში მომხდარი ერთი ამბავია აღწერილი. საომარი მოქმედების დროს რუსმა ჯარისკაცებმა დაატყვევს ერთი აისორი, რომელმაც ქართულის გარდა სხვა ენა არ იცოდა. მან წერილის ავტორს ილიკო ფალიანსა და სამხედრო ექიმს – გიორგი ნიჟარაძეს უამბო: ქ. დიარბაქირიდან (ესაა ჩრდილო შუამდინარეთის ძველი ქალაქი

1 ჯუანშერი, დასახ. თხზ., გვ. 182.

ამიდა, ზემონახსენები იოანე ეფესელის სამშობლო) სამხრეთ-დასავლეთით 140 ვერსის დაშორებით არის ქართველთა 8 სოფელი (ჩამოთვლილია სოფლების სახელები. ვ. გ.) დაახლოებით 12000 მცხოვრებით. მათ აქვთ თავიანთი ეკლესიები, სადაც ღვთისმსახურება „გურჯულ ენაზე სწარმოებს“. ჩვენ აისორები – ორი პატარა სოფლის მოსახლეობაც სალოცავად ქართველების ეკლესიაში დავდივართ. „ქართველების მღვდლები გვნათლავენ და გვმარხავენ“-ო. ამის შემდეგ ილიკო ფალიანი დასძენს: „საჭიროა ქართველმა ჯარისკაცებმა მხედველობაში იქონიონ ზემოაღწერილი ამბავი, ვინ იცის ბრძოლის პირმა იქნებ მიაღწიოს აღნიშნულ ადგილებამდე. ნუ დაივიწყებენ, რომ იქ ჩვენი ძმები ყოფილან. ამ ამბის უფრო დაწვრილებით გაგება და ძმების ნახვა-მოვლა ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა“.

ახლანდელი ქ. დიარბაქირის სამხრეთ-დასავლეთით 140 კმ. დაშორებით სწორედ ასურული წყაროების ალზის, ასევე ოსროენისა (ცენტრ. ქ. ედესა) და ურტას ოლქების ყოფილი ტერიტორიებია, ამიტომ, ვფიქრობ, საეჭვო არაა XX ს-ის დამდეგისათვის იქ მცხოვრები 12000-მდე ქრისტიანი ქართველი, იმ ქართველების შთამომავლები რომ უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც ოსროენისა და ურტას ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ და წმინდა მართასა და სვიმიონის „ცხოვრებებში“ იხსენიებიან. ამ ქართველების შემდგომი ბედი უცნობია. ურიგო არ იქნება საქართველოს ეკლესია და ცალკეული

პირები თუ დაინტერესდებიან იმ ქართველთა შთამომავლების ბედით, რომლებმაც უძველესი დროიდან ისტორიული საქართველოდან დაშორებით ათასწლეულების მანძილზე ენა და ქრისტიანული მრწამსი XX საუკუნის დამდეგამდე შემოინახეს.

როგორც აღვნიშნე, არიან-ქართლის ადგილმდებარეობის ძიებისას მკვლევართა ნაწილი მას საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ძველი კაპადოკიის მიწა-წყალზეც ათავსებდა და შესაბამისად **მეუფე ანანიას** მონოგრაფიის გარკვეული ნაწილი მუშკთა განსახლებისა და კაპადოკიის ქართველური სამყაროს მოსახლეობის პრობლემებს ეთმობა. პროფ. გ. გოზალიშვილის დასკვნა „პონტო-კაპადოკია-ქართლი-ეგრისი ერთიანი ეთნიკური სამყარო რომ იყო და ერთიანი კულტურით ცხოვრობდა“[1], ახლა საკამათო აღარაა, მაგრამ მაინც მისასალმებელია, **მეუფე ანანიას** მონოგრაფიაში მუშქ-მესხებთან და კაპადოკიასთან დაკავშირებულ საკითხებს დიდი ადგილი რომ ეთმობა. გარდა იმისა, რომ მეუფე დეტალურად აანალიზებს მუშქ-მესხთა შესახებ ძველ წყაროთა მონაცემებს, ცალკე მსჯელობს იმ ისტორიკოსთა ნააზრევზე, რომელთაც მცირეაზიული ძველი სამყაროს შესახებ აქვთ ნაშრომები. ასეთებია: პროფ. თ. მიქელაძე (გვ. 71-77), აკად. ნ. ხაზარაძე (გვ. 77-81, 106-117), პროფ. გ. გოზალიშვილი (გვ. 81-97) ადელლე ბალლი და პროფ. ო. ლორთქიფანიძე (გვ. 97-100), პროფ. გ. ქავთარაძე (გვ. 100-106), პ. ინგოროყვა (გვ. 117-119).

1 გოზალიშვილი გ., ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის ცხოვრებიდან, თბ., 1965, გვ. 43.

მკითხველმა შეიძლება იკითხოს – რა საჭირო იყო კაპადოკიის შესახებ ყველა იმ მკვლევრის ნააზრევის წარმოდგენა, რომელთაც კაპადოკიაზე, მუშქებზე და, საერთოდ, იმ მხარის მოსახლეობაზე, ქალაქებსა თუ საეკლესიო ცენტრებზე აქვთ ნაშრომები?

მონოგრაფიის სათანადო ადგილების გაცნობისას მკითხველი დარწმუნდება – ასეთი დიდი შრომა **მეუფე ანანიას** საქართველოს ისტორიის, კულტურის, ძველი კაპადოკიის მოსახლეობასთან ქართველთა კავშირების წარმოსაჩენად და, აზოს სამშობლოს – იგივე არიან-ქართლის (ვიწრო გაგებით) ლოკალიზაციის ნათლად განსასაზღვრავად აქვს ჩატარებული. **მეუფის** მტკიცებით, მის მიერ ლოკალიზებული არიან-ქართლი (გვ. 108), ის ტერიტორიები იყო, სადაც შემდეგ V ს-ის შუა ხანებში ვახტანგ გორგასალმა ირანელებთან ერთად ილაშქრა. რა თქმა უნდა, ამ მხარის მოსახლეობის ქართველურმა წარმომავლობამ და „პონტო-ქალაქის“ (სინოპის) აღების შემდეგ დატყვევებული სასულიერო პირების – პეტრეს და სამოელის საეკლესიო საკითხების ცოდნის მაღალმა დონემ განაპირობა, ვახტანგ მეფემ ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის პირველი საჭეთმპყრობლის ტახტის დასაკავებლად პეტრე კაპადოკიელი რომ შეარჩია (პეტრე კაპადოკიელის გარდაცვალების შემდეგ ქართლის საკათალიკოსო ტახტი ასევე ვახტანგ მეფის მიერ პეტრესთან ერთად გაცნობილმა სამოელ კაპადოკიელმა დაიკავა). კაპადოკიელთა მიმართ ვახტანგ

გორგასლის ასეთი ქმედება იმაზე მიგვანიშნებს, ძველ ქართველებსაც კაპადოკია ქართველური სამყაროს ნაწილად, ხოლო მისი მოსახლეობა ქართველებად რომ მიაჩნდათ და მათთან დანათესავებას ისწრაფვოდნენ. გავიხსენოთ: ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს კაპადოკიური წარმომავლობა. ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მეუღლე – ნანა დადოფალიც წარმოშობით ხომ კაპადოკიიდან იყო, კაპადოკიიდან იყო ეგრისის ეკლესიის პირველი ეპისკოპოსი იბერის ძე და სხვანი. ცაკლე უნდა აღინიშნოს სამი დიდი კაპადოკიელი მამის – ბასილ დიდი კესარიელის, გრიგოლ ნოსელისა და გრიგოლ ნაზიანზელის დიდი პატივისცემა საქართველოში (ბასილ დიდის მოსხენიების დღეს 1 იანვარს საქართველოს თითქმის ყველა ოჯახში ცხვებოდა კაც-ბასილას კვერი (იხ. სტ. ბასილი. ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1977).

ზემოთ არიან-ქართლზე საუბრისას იმაზე მივუთითე, აზოს ქართლიდან განდევნის შემდეგ მის მიერ არიან-ქართლიდან შემოტანილი გაცისა და გას კერპები ქართველებმა არმაზისა და ზადენის (ასევე სხვა) კერპებთან ერთად სათაყვანებლად რომ გაიხადეს. მეტად მნიშვნელოვანია მოქცევაჲ ქართლისაჲს „ქრონიკის“ ავტორის მიერ ამ ფაქტზე მითითება. საქმე ისაა, რომ სტრაბონი კაპადოკიაში მიუთუთებს „მას“ კერპის არსებობის შესახებ[1]. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, აკად. გრ. გიორგაძის თანახმად, ხეთების ძველი დედაქალაქის ხა-

1 Страбон, География, გვ. 504 (XI, II, 3).

თუსას (ახლანდ. ბოღაზქოი თურქეთში) ჭიშკარზე ხეთურ ენაზე არსებული კერპთა ტრიადის წარწერა ზუსტად რომ იმეორებს წმიდა ნინოს „ცხოვრებაში“ ჩვენთვის კარგად ცნობილი კერპების აღწერას[1] და აქ ერთ-ერთი კერპის სახელია „ხაცი“, დროული მოგვეჩვენება მონოგრაფიაში კაპადოკიის მოსახლეობის ქართველური წარმომადლობის სამტკიცებლად **მეუფე ანანიას** მიერ მოხმობილი წმ. ნინოს სიტყვები: ეს კერპები (იგულისხმება გა და გაცი. ვ. გ.) თქვენი (ქართველთა. ვ. გ.) არიან-ქართლელი მამების (ე. ი. წინაპრების. ვ. გ.) ღმერთები იყვნენო. ასევე, როცა მირიან მეფე მიმართავს წმინდა ნინოს, გაცისა და გას „ჩვენი მამების ძველ ღმერთებს“ უწოდებს[2]. დაბოლოს მნიშვნელოვანია **მეუფე ანანიას** მიერ არაერთხელ დამოწმებული არსენ ბერის (XII ს.) სიტყვები: **„ჩუენ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან ქართლით გამოსრულთანი და ენა მათი უწყით**“-ო[3].

მეუფე ანანიას მიერ კაპადოკიის, როგორც ქართული სამყაროსადმი კუთვნილებისა და აზოს სამშობლოდ – არიან-ქართლად მისაჩნევად მოხმობილი ზემომოტანილი სიტყვები მკითხველში დიდ პატივისცემას აღძრავს კაპადოკიისადმი და მადლობა უნდა მოვახსენოთ მეუფეს კიდევ ერთხელ რომ

1 გიორგაძე გრ., „ხეთურ-არმაზული ტრიადები“. „მნათობი“, 1985, №7, გვ. 152, 153-156.

2 მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული, გვ. 335, 340.

3 არსენ ბერი, ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ და ღუაწლი ნინოჲსი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. 3, თბ., 1971, გვ. 47.

გაგვახსენა და მოგვატარა ჩრდილო შუამდინარეული და კაპადოკიური ქართული სამყარო – ძველი არიან-ქართლი (ფართო გაგებით). ასე, რომ შემთხვევითი არ იყო, 1204 წელს თამარ მეფემ პონტოს კაპადოკიის ტერიტორიაზე ტრაპიზონის იმპერია რომ შექმნა. **მეუფე ანანიას** სიტყვით, უცხოელები ტრაპიზონის იმპერატორს ხომ „კოლხთა მეფეს უწოდებდნენ“ (გვ. 146). აქვე უნდა გავიხსენოთ ქ. ტრაპიზონი ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლის“ ძველ ქართულ თარგმანში „სამეგრელოს ქალაქად“ რომ იწოდება[1].

სწორედ აღნიშნულის გამო შესტკივა გული **მეუფე ანანიას** ისტორიული საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ბედზე და ზემოდასახელებული ქართული მოსახლეობის არმენიზაციის (გასომხების) პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე მონოგრაფიაშიც მსჯელობს, მიუთითებს უცხოელთა (ამ შემთხვევაში სომხების) ბატონობის ქვეშ მოქცეულ ქართულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაში ქართული ენის დევნის ფაქტებზე (გვ. 163-164). მცირე აზიის ტერიტორიაზე კაპადოკიურ-ქართული ეთნოსის წარმომადგენლები იდევნებოდნენ ბიზანტიურ ხანაშიც. აღნიშნულის გამოძახილადაა მიჩნეული ბასილ დიდის სიტყვები – „მე მომიწოდებს ჩემი ტანჯული სამშობლო“-ო[2].

1 მიმოსვლა ანდრია მოციქულისა. ძველი ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მალხაზ კობიაშვილმა, თბ., 2008, გვ. 187.

2 გოზალიშვილი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

მას შემდეგ, რაც ძვ. წ. VII ს-ში ურარტუს სახელმწიფო დაინგრა, სომხების წინაპრებმა ურარტუს მიწების დაკავება დაიწყეს, ისინი სახლდებოდნენ შავიზღვისპირა რაიონებსა და ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ოლქებშიც. აღნიშნულმა განაპირობა მონოგრაფიაში **მეუფე ანანია** არაერთხელ რომ ეხება ქართველთა არმენიზაციის საკითხს. ქართველთათვის ეს მტკივნეული პროცესი, სამწუხაროდ გადაგვარებით ემუქრებოდა არა მარტო ანტიკური ხანის ქართველ მოსახლეობას, ახალი დროის ქართველებსაც. როგორც ცნობილია, XVIII-XIX საუკუნეებში ამ პროცესმა ქართლსა და კახეთშიც იჩინა თავი და სწორედ **მეუფე ანანია** იყო ის პიროვნება, რომელმაც ჯერ კიდევ 1999 წელს ცალკე გამოკვლევა უძღვნა ამ საკითხს[1], და შემთხვევითი არაა ამ პრობლემაზე იგი წარმოდგენილ მონოგრაფიაშიც რომ საუბრობს (გვ. 183-247). ანტიკურ ხანაში ქართველური მოდგმის ხალიბების გასომხების საკითხზე ჯერ კიდევ აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: ქსენოფონტეს დროინდელი ხალხები პლინიუსთან უკვე სომეხ-ხალიბებად („gens Armenochalybes“) იწოდებიანო[2].

რა ხდებოდა ძველ ხალიბთა ცხოვრებაში, იყო მათზე ზეწოლა რათა მშობლიური ენა დაევიწყე-

1 მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქართლ-კახეთი (ქართველთა გასომხება), თბ., 1999. ჯავახეთის ქართული მოსახლეობის ბედისა და გასომხების შესახებ. იხ. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 364.

2 ჯავახიშვილი ივ., ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, გვ. 42.

ბინათ, არ ვიცით, ამის შესახებ უშუალო მითითებები არ გვაქვს. ისე კი, 1982 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ „ძველი მსოფლიოს ისტორიის“ (ტ. III) ერთი ავტორი წერს: „არც ერთი სახელმწიფო არ ცდილობდა ძალდატანებით დაენერგა თავისი ენა უცხოენოვან მოსახლეობაში. ალბანეთის იმ პროვინციების მოსახლეობას, სადაც სომხები ბატონობდნენ „არავინ უშლიდა სახლებში მშობლიურ ენაზე ესაუბრათო“[1]. ალბათ ასეთი ვითარება იყო ძველ ხალიბებსა და ქართველური მოდგმის იმ ხალხებში, რომლებიც სომხური სახელმწიფოს ხელქვევით იყვნენ მოქცეულნი.

არიან-ქართლზე საუბრისას მინდა ახალი ქართლის სამეფოს შემქმნელის ფარნავაზ მეფის ოჯახთან დაკავშირებულ ერთი პირის ვინაობის საკითხსაც შევეხო. „მეფეთა ცხოვრების“ ავტორის ცნობით, როცა ქართლში აზონი (აზო) გაბატონდა, ფარნავაზის მამა (სახელი არაა დასახელებული) და ბიძა – ქართლის მამასახლისი სამარი ბრძოლაში დაიღუპნენ. სამი წლის ფარნავაზი, სამარას ძმისწული დედამ კავკასიის მთიანეთში გახიზნა.

ამ ცნობის გაცნობისას არ შეიძლება არ დაინტერესდე – ვინ უნდა ყოფილიყო ფარნავაზის მამა, რა ფუნქციებს ასრულებდა სამეფოში ფარნავაზის ბიძა სამარი?

დასმულ საკითხთან დაკავშირებით **მეუფე ანანია** ძველი რომაელი ავტორის არიანეს (95-175) ცნობას განიხილავს და წერს: „ფლავიუს არიანეს

1 История древнего мира, М., 1982, т. III, გვ. 216.

ინფორმაციით, ძვ. წ. 329/328 წელს ცენტრალურ აზიელი „ხორეზმელების“ მეფე ფარსმანესი 1500 მხედრის თანხლებით ეახლა ალექსანდრეს მდ. ოქსის (თანამედროვე ამუ დარია შუა აზიაში) ნაპირთან და მოახსენა, რომ იგი ცხოვრობდა კოლხებისა და ამაძონელების მეზობლად და მზად იყო დახმარებოდა მას, თუკი ალექსანდრე გადაწყვეტდა იმ ტომების დამორჩილებას, რომლებიც სახლობდნენ პონტოს ევქსინიამდე (ანუ შავ ზღვამდე) გადაჭიმულ მხარეში“ (გვ. 104-105).

1984 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№11) გამოქვეყნებულ წერილში – „ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“ არიანეს მიერ „ხორეზმელთა მეფედ“ დასახელებული ფარსმანი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელს კოლხებისა და ამაზონების მეზობელი ქვეყნის მეფედ წარუდგა, ფარნავაზის მამად მივიჩნიე (ფარსმანი ფარნავაზიანთა სამეფო სახლში ხომ დინასტიური სახელი იყო) და მივუთითე: ძლევამოსილ სარდალს ფარსმანი რადგან აზოს მამის ქვეყნის დაპყრობას სთხოვდა (ამ გზით ფარსმანი აზოს მიერ მიტაცებული ტახტის დაბრუნებას ცდილობდა) და თანაც, თავს კოლხთა მეზობელი ქვეყნის მეფედ აცხადებდა, საკმაო საფუძველი გვაქვს ფარსმანი ფარნავაზის მამად და ქართლის მეფედ იქნას მიჩნეული-ო[1].

ძვ. წ. 323 წლის 13 ივნისს ქ. ბაბილონში მოულოდნელად გარდაცვალების გამო ალექსანდრე

1 გოილაძე ვ., ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან. გვ. 161.

მაკედონელმა, მართალია დანაპირები ვერ შეასრულა, მაგრამ ფარნავაზმა მაინც აღადგინა მამის მემკვიდრეობა. იმხანად ჩემმა გამოკვლევამ ჯერ კიდევ გამოყვეყნებამდე გააღიზიანა ზოგი და მთხოვეს მის გამოქვეყნებაზე უარი მეთქვა, მაგრამ წერილი ბ-ნ არჩილ სულაკაურის „მნათობის“ იმჟამინდელი რედაქტორის ნებით მაინც გამოქვეყნდა. ჩემთვის დიდად მისასალმებელია ის, რომ არიანეს დასახელებული ცნობის გაანალიზებისას **მეუფე ანანია**ც მსგავს დასკვნამდე რომ მივიდა და ფარსმანის ხორეზმიელთა მეფობა უარყო. **მეუფე**ს დასკვნით, „ცხადია, არიანეს ტექსტი ეხება შავიზღვისპირეთს და არა ცენტრალურ აზიას: გარდა იმისა, რომ მასში მოხსენიებული არიან კოლხები, ამაძონელები და ევქსინის პონტო, ამასვე უნდა მოწმობდეს თვით ალექსანდრეს სიტყვები, ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ ჰელესპონტოსა და პროპონტიდის გავლით „გამოემართებოდა პონტოსაკენ და ამისათვის გამოიყენებდა როგორც სახმელეთო ისე საზღვაო ძალებს“. „საზღვაო ძალების გამოყენება“, – დასძენს **მეუფე ანანია,** – ცენტრალურ აზიაში მცხოვრები მეფისათვის შეუძლებელი იქნებოდა“-ო (გვ. 105).

არიანეს მიერ კოლხებისა და ამაზონების მეზობელი ქვეყნის მეფედ დასახელებულ ფარსმანს თუ ფარნავაზის მამად და ქართლის მეფედ მივიჩნევთ, მაშინ ახალი მასალით შეივსება ახალი ქართლის სამეფოს შემქმნელისა და ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიის ფუძემდებლის ფარნავაზის ბიოგრაფია.

მისი ბიძის სახელის – სამარის გარდა გვეცოდინება მამის სახელი – ფარსმანი. მონოგრაფიაში **მეუფე ანანიას** მიერ მოხმობილი მასალა ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს ნამდვილად იძლევა.

არიან-ქართლის შესახებ **მეუფე ანანიას** მიერ გაანალიზებული ვრცელი მასალა საშუალებას იძლევა დავასკვნათ: ვიწრო გაგებით არიან-ქართლი იყო აზოს მამის სამშობლო – პონტოს კაპადოკია. კლარჯეთში აზოს ლაშქრის დამარცხების შემდეგ ფარნავაზმა რომ მოტყვევნა ანძიაძორა და ეკლეცის (ბიზანტიური ხანის აკილისენა – აღმოსავლეთ ანატოლიაში) გამოვლით კლარჯეთში დაბრუნდა, სწორედ ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება. მეორე მხრივ, ცხადია, არიან-ქართლი იყო ის ტერიტორიები, სადაც უძველესი დროიდან ქართული და ქართველური მოდგმის მოსახლეობა ცხოვრობდა – ესაა ჩრდილო შუამდინარეთში კარდუხთა განსახლების არეალი, ასევე ვანის ტბის დასავლეთით მდებარე ის ტერიტორიები (მდ. არცანია-მურადსუს სამხრეთით), სადაც ძვ. წ. XII ს-ში მუშქები ჩასახლდნენ და რომელთა შთამომავლებს VI ს-ის სირიელი ავტორი იეშუ სტილიტი „უტიებს“ (ურარტელებს) უწოდებს. საინტერესოა ის, რომ ძველი სომეხი ისტორიკოსი სებეოსი (VII ს.) სწორედ ამ მხარის მეფედ ასახელებს მეფეს, რომლის სახელი ასევე ფარნავაზი იყო[1].

1 ამ საკითხზე იხ. გოილაძე ვ., ასურიელ მამათა სამშობლო, გვ. 76-77. სტრაბონის ცნობით აკილისენეს მცირე არმენიიდან მდ. ევფრატი (იგულისხმება ამ მდინარის ზემო დინება. ვ. გ.) ყოფდა. Страбон. География, გვ. 521 (XI, III, 28).

„ერთი სიტყვით, - წერს მეუფე ანანია, **– „არიან-ქართლში“ იგულისხმება ვრეცელი ქვეყანა ტრაპეზუნტიდან („ზღვისპირა დიდი ქალაქიდან“) – კარნუ-ქალაქისა და ანძიაძორას (დღევანდელი ერზინჯანის ზეგანის) ჩათვლით. ეს ის მხარეებია, რომელთაც ერქვათ ქალდეა-სპერი-ტაობასიანი და მისი მომიჯნავე ოლქები, ის ქვეყანა, სადაც ქსენოფონტემ ქართველი ტომები აღწერა, ქვეყანა, რომელსაც სტრაბონის ცნობით ჰქონდა მხარეები-ხორძენა, პარიადრე და გოგარენა, იბერიელებით დასახლებული კუთხეები, რომელნიც არმენიამ ჩამოაჭრა ისტორიულ საქართველოს ქრისტეშობამდე II ს-ში.“** „მიუხედავად ისტორიული კატაკლიზმებისა,-დასძენს მეუფე, **– ეს მხარეები X-XI საუკუნეებშიც ქართველებით იყო დასახლებული** (აქ იმოწმებს XI ს-ის სომეხი ავტორის არისტაკეს ლასტივერტცის ისტორიას, გვ. 183 ვგ.)“.

ამიტომ, X ს-ში „ქართველთა სამეფომ“ სწორედ ვანის ტბის მიმართულებით დაიწყო გაფართოება, და თუ არა ბასილ კეისრის შემოჭრა და ქართველთა დამარცხება, „არიან-ქართლი“ თავს ვანის ტბამდე აღიდგენდა, ქართველთა ამ რეგიონის მკვიდრი მოსახლეობის სახელმწიფო, ქართული ენითა და ეკლესიით აღორძინდებოდა“(გვ.22).

როგორც ცნობილია, დავით III კურაპალატის გარდაცვალების (1001 წ.) შემდეგ ბიზანტიის იმპერატორი ბასილ II „დავითის მემკვიდრეობას“ (აქ შედიოდა დავით III-ის მიერ შემოერთებული „ზემონი ქვეყანანი“) დაეპატრონა და იქ იბერიის თემი („Фема Иверии“) შექმნა. ეს ქართული მხარეები კარგა ხნით ბიზანტიის იმპერიის მფლობელობაში დარჩა. ეს მიწები საქართველომ, მართალია დაიბრუნა, მაგრამ დღეს ისევ ჩამოშორებულია საქართველოს. ამიტომაა, რომ იბერიის თემის საკითხთან დაკავშირებით **მეუფე ანანია** კვლავ უბრუნდება ამ მხარის მოსახლეობის საკითხს და მკითხველს უფრო დეტალურად აცნობს „იბერიის თემის“ მოსახლეობის ბედს.

კერძოდ, არზრუმის, ყარსის, ანისის, ვალაშკერტის, არაქსის ხეობის ერთი ნაწილის მკვიდრ ქართველებს, – წერს მეუფე **ანანია,** – მართალია, ჰქონდათ ივერიული თვითშემეცნება, ოჯახებში ქართულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ მათი ნაწილი სომხური ეკლესიის (უმეტესად სომხურ ქალკედონური) ეკლესიის მრევლი იყო, ვიდრე მე-8 საუკუნის შუა წლებამდე.

ამის მიზეზი ის იყო, რომ ხორძენას, გოგარენასა და პარიადრეს კალთების მიტაცების შემდეგ (სტრაბ.XI, 14, 5)[1], არმენიის სახელმწიფომ გააგრძელა ყოფილი არიან-ქართლის ნაწილების მიტაცება და ის (აღნიშნული იბერიული რეგიონი), სომხური სახელმწიფოს, მე-4 საუკუნედან კი, სომხური ეკლესიის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

არმენიის მიერ ხელდებული სამხრეთის ივერიის ანუ ყოფილი არიან ქართლის ტერიტორიაზე

1 Страбон. География. Перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского, М., 1964, გვ. 498.

მცხოვრები ქართველები ცდილობდნენ როგორმე თავი დაეღწიათ სომხური ეკლესიისგან, განშორებოდნენ მას და ეკლესიებში აღედგინათ ქართულენოვანი წირვა-ლოცვა.

მართლაც, დიდი ძალისხმევისა და ღვაწლის შედეგად - წერს **მეუფე ანანია,** – ტაოს, ბასიანის, არზრუმის (კარინის), ვანანდის და მიმდებარე რეგიონების ივერებმა ეკლესიებში აღადგინეს ქართულენოვანი წირვა-ლოცვა, რაც საფუძველი გახდა ტაოს ქართული სახელმწიფოს აღდგენისა.

ეს პროცესი იყო მრავალსაუკუნოვანი, გამოძახილი და შედეგი წმ. ასურელი მამებისა და ქართლის კათალიკოს კირიონ I-ის ღვაწლისა. კირიონ I-მა , როგორც ცნობილია, თავის ერთერთ ეპარქიაში, გუგარქში, ქართველებს ეკლესიებში აღუდგინა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა. საქმე ის იყო, რომ მე-6 საუკუნეში, **მეუფე ანანია**ს სიტყვით, გუგარქის ქართულ ეკლესიებში სომხურენოვნება დაინერგა პოლიტიკური მიზეზების გამო სპარსეთის იმპერიის ნებით და ეს პრაქტიკა კირიონმა აღმოფხვრა – აღადგინა ქართულენოვნება. კირიონს სულიერად აძლიერებდა ასურელი მამების ღვაწლი, ქართული ენის მიმართ მათი დამოკიდებულება.

ასურელი მამების ცხოვრება აღგვიწერს ქართული ენის მიმართ უზენაეს გამორჩეულობას – ეთნიკურ ასურელებს იოანე ზედაზნელსა და შიო მღვიმელს უფალმა ღმერთმა წამისყოფით, მყისიერად მიანიჭა ქართული ენის ცოდნა და გამოაგზავნა ისინი ქართველთა შორის საქადაგებლად, წერს მეუფე.

ქართული ენის მიმართ ეს საღმრთო მადლმოსილება, ანიშნავს **მეუფე ანანია,** ქვემო ქართლიდან და გუგარქიდან განივრცო VII-VIII საუკუნეების ტაო-ბასიანსა და სხვა არეებში, რამაც გამოაფხიზლა უკვე სომხური ეკლესიის წევრად გადაქცეული აქაური ქართველები, აღძრა მათში სურვილი იქამდე დევნილი, დაფარულად მოსახმარი ანუ „დამარხული“ ქართული ენა ეკლესიებში გადაექციათ წირვა-ლოცვის ენად, რათა სამხრეთის ივერიის ანუ უკვე არმენიის მიერ ხელდებული ივერიის ეკლესია-მონასტრებიდან განედევნათ სომხური ენა და მის ნაცვლად ლიტურგიკულ ენად თავიანთი მშობლიური ქართული ენა დაედგინათ. ამ მოლოდინის გამოძახილად მიაჩნია **მეუფე ანანია**ს შექმნა ძეგლისა, რომელსაც ეწოდება „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

სამხრეთს ამ ივერიის ეკლესიებში ქართულენოვნების დაბრუნების აღწერილი პროცესი - დასძენს მეუფე ანანია - იყო ურთულესი და ის მიმდინარეობდა VI საუკუნის შემდეგ, ძირითადად VII და განსაკუთრებით VIII საუკუნის პირველ ნახევარში. აქაურ ეკლესია–მონასტრებში ქართულენოვანი ღვთისმსახურების აღორძინდამ ხელი შეუწყო აქაური ქართველების ეროვნულ გაძლიერებას, რაც IX-X საუკუნეებში დაგვირგვინდა ტაოს ქართველთა სამეფოს წარმოქმნით.

აღსანიშნავია, რომ მსგავსადვე ამ ეპოქაში VI-VII საუკუნეებში ალბანური ეკლესიაც დაიქვემდებარა სომხურმა ეკლესიამ, მაგრამ, ალბანელებმა ვერ

შეძლეს სომხური ეკლესიური უღლისაგან გათავისუფლება, მისგან განსხვავებით, ყოფილი არიან-ქართლის ანუ ტაოს, ბასიანის, არზრუმისა და სხვა რეგიონებში მცხოვრებმა ქართველებმა შეძლეს სომხური ეკლესიის უღლისაგან გათავისუფლება, აქ ჩამოყალიბდა კიდეც ქართველი მრევლისათვის ანისის, ყარსის, ვალაშკერტისა და სხვა ქართული საეპისკოპოსოები, რომელნიც დიდხანს ფუნქციონირებდნენ.

ასეთია **მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის** საბოლოო დასკვნა არიან-ქართლზე.

კიდევ ძალიან ბევრი შეიძლება ითქვას **მეუფე ანანია**ს უზარმაზარ – 566 გვერდიან მონოგრაფიაში აღძრული მრავალი და მეტად საინტერესოდ წარმოდგენილი საკითხების – განსაკუთრებით საეპისკოპოსოების შესახებ, მაგრამ მონოგრაფიის შეფასება ისედაც გამიგრძელდა. მე მინდა ჩემი გამოხმაურება მეუფის მონოგრაფიაზე ამით დავასრულო და **მეუფე ანანია**ს ვუსურვო კვლავ ასეთი შემართებით განაგრძოს საქართველოს ისტორიისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აქტუალური საკითხების კვლევა.

2016 წ.

ISBN 978-9941-16-517-7